

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ოქმი # 4

ქ. ონი

17. 04. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 11 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვანო ბაღაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, სერგო ლობჯანიძე, გელა მეტრეველი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, გოჩა მეტრეველი.

არ ესწრებოდა: ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი კობა მეტრეველი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ირინა გობეჯიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის მთავარი სპეციალისტი სოსო ტყეშელაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე, ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე, სატყეო-სააგენტოს ონის სატყეო უბნის უფროსი ელდარ რატიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-ემზარ საბანაძე -მუნიციპალიტეტის მერი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

4. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადამიანური რესურსების მართვის საზ. ურთიერთობისა და საინფ. განყ. უფროსი)

5. 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის მთავარი სპეციალისტი სოსო ტყეშელაშვილი/

6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

7. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში აღმაშენებლის ქუჩა #54-ზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან ს.კ 88.18.24.087 74.0 კვ.მ-ის და ს.კ 88.18.24.086 182.0 კვ.მ სარგებლობის უფლებით სერვიტუტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის (საზღაურის) საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ირინა გობეჯიშვილი/

8. ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი- ვანო ბალაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-გიორგი მარკოიშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი
დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა. კერვალიშვილის თქმით, როდესაც არსებობს მუნიციპალიტეტის მერიის ახალი შენობა, სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურისთვის ბინის ქირავნობა ამ მიზნით, მისი აზრით, არაა გამართლებული, რადგან ისედაც მწირი ბიუჯეტიდან მოხდება თანხის გამოყოფა. ასევე, როგორც მან აღნიშნა, მისთვის გაუგებარია მერიის შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო 4 000 ლარის ნაცვლად, რატომ გადააქვს მერიას მუნიციპალიტეტის მერის შრომის ანაზღაურების ფონდიდან 8 100 ლარი შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდში, გარდა ამისა, მისი თქმით, სამშენებლო მასალების დასაყრელად გამოყოფილია ყოფილი სოფ.ტეჩნიკის ტერიტორია თუ აღნიშნული ტერიტორია სუფთავდება, სად მოხდება მომავალში ნარჩენების განთავსება.

გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და განვითარება.

ვ. მეტრეველის თქმით, უნდა ვიფიქროთ არა სანაპირო ზოლის განვითარებაზე, არამედ რიონისთვის ძველი კალაპოტის დაბრუნებაზე, ასევე, აუდიტის ერთ-ერთი შენიშვნა იყო ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების დიდი რაოდენობა, ამჯერად კვლავ ხდება გაზრდა ამ რიცხვის, რამდენად მართებულია ეს ქმედება?

ს. ლობჯანიძის თქმით, მერიაში შემცირდა ერთი შტატი და მისი თანხა გადანაწილდა ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომელზე.

შ. ჯაფარიძემ სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარება ძალიან კარგია, რაც შეეხება საავადმყოფოს, მას აქვს მუშაობის პრობლემა კადრების არარსებობის გამო, ქირურგმა შოთა ბუგიანიშვილმა გამოთქვა სურვილი იმუშაოს გარკვეული პერიოდი ჩამოყვანილ ბრიგადასთან ერთად უსასყიდლოდ, მაგრამ მუნიციპალიტეტის მხრიდან ყურადღების მიზნით კარგი იქნება ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი-კობა მეტრეველი-საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-მაგდა მაისურაძე-ადამიანური რესურსების მართვის საზ. ურთიერთობისა და საინფ. განყ. უფროსი)

მ. მაისურაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ 100 ლარით გაიზარდა იმ პირველი კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო, რომელთა ხელფასიც შეადგენდა 600 ლარს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 5. 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი-სოსო ტყემელაშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)

ს. ტყემელაშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განაწილებული თანხების ცვლილების თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 6. საქართველო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-ირმა მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი)

ი. მაისურაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი საქართველო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 7. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში აღმაშენებლის ქუჩა #54-ზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან ს.კ 88.18.24.087 74.0 კვ.მ-ის და ს.კ 88.18.24.086 182.0 კვ.მ სარგებლობის უფლებით სერვიტუტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის (საზღაურის) საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი-ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი)

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში აღმაშენებლის ქუჩა #54-ზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან ს.კ 88.18.24.087 74.0 კვ.მ-ის და ს.კ 88.18.24.086 182.0 კვ.მ სარგებლობის უფლებით სერვიტუტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქირის (საზღაურის) საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ უმჯობესია საკითხი განხილული იქნას მშენებლობის პროექტის წარმოდგენის შემდეგ. შ. ჯაფარიძის თქმით, საკითხი მეორედაა შემოტანილი ბიუროს სხდომაზე, კარგი იქნება თუ საკითხი განხილული იქნება მშენებლობისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტის განხილვა გადაიდოს და საკითხი არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 8. ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი- ვანო ბალაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

ვ. ბალაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით მეორე ხარისხის მერქნის გამოყოფის თაობაზე.

ე. რატიანმა ვრცლად ისაუბრა ამ კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და ამ პრობლემების აღმოფხვრის გზებსა და გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი-გიორგი მარკოიშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე